ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეგრელო, დიდი მუქუი, არ გაიცვლები სხვაზედა..

# ოდიში

1991
ხუთშაბათი
16
მაისი
№ 58 (10451)
ფასი 5 კაპ.

ზუგდიდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

გაზეთი გამოდის 1980 წლის 1 მარტიდან

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესია

14 მაისს გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგი სხდომა. მას თავმჯდომარეობდა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ასათიანი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, მთავრობის წევრები, აგრეთვე რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების პრეფექტები.

დღის წესრიგში პირველი იყო საკითხი ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების—საქართველოს რესპუბლიკის საკრებულოების წევრთა გაწვევის წესის შესახებ, რომლის კანონის პროექტი პრესაში გამოქვეყნების შემდეგ საყოველთაო განხილვის დროს მიღებული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით წარმოადგინა უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის მუდმივი კომისიის წევრმა თენგიზ ჩაჩავამ. ეს კანონი ერთსულოვნად მიიღო უზენაესმა საბჭომ.

ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების—საქართველოს რესპუბლიკის საკრებულოების სტრუქტურის კომპეტენციისა და მუშაობის ორგანიზაციის ზოგადი საწყისების შესახებ კანონპროექტი წარმოადგინა უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის მუდმივი კომისიის მდივანმა გიორგი გულბანმა. აზრთა გაზიარებაში მონაწილეობდნენ დეპუტატები რუსლან ლონდაძე, ბიმურზა აფრასიძე, ვაჟა გურგენიძე, გურამ მაქაცარია, მცხეთის რაიონის პრეფექტი იულონ გაგოშიძე, აკაკი ბობოხიძე, გივი ურიათმყოფელი, მერაბ კიკნაძე, ბეჟან აბესაძე, თამაზ ყურაშვილი, შოთა გაფრინდაშვილი, ნიკოლოზ ხაჭაპურიძე, ევგენი ხარაძე, რის შემდეგ ეს კანონიც მიიღეს.

შემდეგ სიტყვა მიეცა უზენაესი საბჭოს საგარეო ურთიერთობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარეს თედო პაატაშვილს, რომელმაც დეპუტატებს განსახილველად წარუდგინა, საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებათა დადების, რატიფიკაციის, შესრულებისა და დენონსაციის შესახებ კანონის პროექტი. მან დაიწყო იმით, რომ უზენაესი საბჭოს წევრებს შეახსენა ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის გაუქმებისა და ავტონომიური ოლქის აღდგენის შესახებ გადაწყვეტილება, რომელიც მიიღეს 4 მაისს ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს ცხინვალში უკანონოდ მოწვეულ სესიაზე. აუწყა დამსწრეთ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს რა რეაქცია მოჰყვა ამას. ბატონმა თედო პაატაშვილმა დეპუტატებს გააცნო „სსრ კავშირის პრეზიდენტის 1991 წლის 7 იანვრის ბრძანებულებისა და სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 1 აპრილის დადგენილების შესრულების შესახებ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო, საქალაქო, რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოების სახალხო დეპუტატთა კრების 1991 წლის 4 მაისის დადგენილების შესახებ" სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მიმდინარე წლის 12 მაისს მიღებული დადგენილების ტექსტი. როგორც ამ დოკუმენტიდან ჩანს, მიიღო რა ცნობად ეს დადგენილება, სსრ კავშირის უზენაესმა საბჭომ გადაწყვიტა ცნობისათვის გადასცეს იგი სსრ კავშირის პრეზიდენტს აგრეთვე ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარეს და ეროვნებათა საბჭოს ეროვნული პოლიტიკისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობის კომისიას ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების პროექტზე მუშაობაში გამოყენებისათვის. ამასთან დაკავშირებით ბატონმა თედო პაატაშვილმა დეპუტატებს განსახილველად წარუდგინა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს შესაბამისი განცხადების პროექტი, იგი მიიღეს აზრთა გაზიარების შემდეგ, რომელშიც მონაწილეობდნენ დეპუტატები ლევან ალექსიძე, ნოდარ ნათაძე, აპოლონ სილაგაძე, მაია მაჭავარიანი.

რაც შეეხება საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებათა დადების რატიფიკაციის, შესრულებისა და დენონსაციის შესახებ კანონპროექტს, გადაწყდა მისი განხილვის გადადება. იგი დაურიგდათ დეპუტატებს გასაცნობად, შენიშვნებისა და წინადადებების შესატანად.

სხდომაზე გამოვიდა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არჩილ ჭირაქაძე. შეეხო რა ამ არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობას, მან გააცნო უზენაეს საბჭოს სიძნელეები, რომლებსაც აწყდება კომისია ამ მნიშვნელოვანი კამპანიის ორგანიზაციაში. კერძოდ, აღინიშნა, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისია იძულებულია ძირითადად განიხილოს განცხადებები და საჩივრები კონკრეტული საორგანიზაციო მუშაობის საზიანოდ. კომისიის საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით, განსაკუთრებით ახლა, როცა პრეზიდენტის არჩევნებამდე ძალზე ცოტა დრო დარჩა, ბატონმა არჩილ ჭირაქაძემ შესთავაზა უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს, იკისროს განცხადებებისა და საჩივრების განხილვა, რასაც აქამდე ასრულებდა კომისია.

ამ საკითხის განხილვის დროს, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე თენგიზ სიგუა, დეპუტატები გიორგი გულბანი, დავით ბერძენიშვილი, როინ მეტრეველი, აკაკი ბობოხიძე, სიტყვა წარმოთქვა უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ ნუგზარ მოლოდინაშვილმა. მან წინადადება წამოაყენა შეეტანათ დამატებები „საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შესახებ" კანონში, რომელიც მიიღო უზენაესმა საბჭომ. მიღებულია აგრეთვე გადაწყვეტილება უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმთან შეიქმნას დამოუკიდებელ იურისტთაგან შემდგარი სპეციალური ჯგუფი, რომელიც იკისრებს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის მომავალ არჩევნებთან დაკავშირებული განცხადებებისა და საჩივრების განხილვას.

საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის ჯონი ხეცურიანის წარდგენით უზენაესმა საბჭომ განიხილა საქართველოს რესპუბლიკის ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის საკითხი. აზრთა გაზიარების შემდეგ, რომელშიც მონაწილეობდნენ დეპუტატები კონსტანტინე ფირცხალავა, ვაჟა ადამია, ბიმურზა აფრასიძე, ლეო ჩიქავა, მიიღეს შესაბამისი კანონი.

უზენაესი საბჭოს კულტურის, განათლებისა და მეცნიერების მუდმივი კომისიის ქვეკომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ჩოლოყაშვილმა განსახილველად დააყენა ქალაქ თბილისის ლენინის რაიონისათვის სახელის შეცვლის საკითხი. განხილვის დროს გამოვიდნენ დეპუტატები აპოლონ სილაგაძე; როინ მეტრეველი, ნოდარ ნათაძე, ქალაქ თბილისის პრეფექტი ირაკლი ანდრიაძე, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ბაქარ გიგინეიშვილი, რის შემდეგ უზენაესმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ლენინის რაიონს დაერქვას ღრმაღელის რაიონი.

ქალაქ ცხინვალში საგანგებო წესების მოქმედების ვადის გასვლასთან დაკავშირებით რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ აკაკი ასათიანმა განსახილველად გამოიტანა საკითხი იქ საგანგებო წესების კიდევ ერთი თვით გაგრძელების შესახებ, აზრთა გაზიარებაში მონაწილეობდნენ დეპუტატი ნოდარ ნათაძე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნემო ბურჭულაძე, დეპუტატები გიორგი გულბანი, მაია ნათაძე, დავით ბერძენიშვილი, ვაჟა ადამია, თამაზ დიასამიძე, თედო პაატაშვილი, ავთანდილ პოპიაშვილი, ალექსანდრე ვარძელაშვილი, აკაკი მათიაშვილი. უზენაესმა საბჭომ მხარი დაუჭირა ამ წინადადებას.

რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების სხვადასხვა საკითხის გამო განცხადებები გააკეთეს და წინადადებები წამოაყენეს დეპუტატებმა მირიან მირიანაშვილმა, ფირუზ დიაკონიძემ, ავთანდილ იმნაძემ, ამირან კალაძემ, აკაკი ბობოხიძემ, პაატა ჩხეიძემ, კონკრეტულ საკითხს ახსნა-განმარტება მისცა უზენაესი საბჭოს კულტურის, განათლებისა და მეცნიერების მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ თეიმურაზ ქორიძემ. კანონმდებელთა არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია დეპუტატ რომან გოცირიძის განცხადებამ საპარლამენტო უმცირესობის ფრაქციის „დემოკრატიული ცენტრის" შექმნის შესახებ.

საქინფორმის საპარლამენტო კორესპონდენტები.

## საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების ზუგდიდის რაიონის ტერიტორიული საარჩევნო კომისია

თავმჯდომარე,

ჭკუშია მზია—მანქანათმშენებელი ქარხნის მუშა. მცხოვრები ჩიქოვანის 40-2, წარადგინა ეროვნულ ლიბერალურმა კავშირმა.

მოადგილე;

იზორია რევაზი —წალენჯიხის ტყე-მრეწველმეურნეობის მუშა, მცხოვრები კრუპსკაიას ქ. № 20 წარადგინა წმინდა ილია მართლის საზოგადოებამ.

მდივანი

ქითაშვილი დინარა —განმეხურის მეხილეობის მეურნეობის ინჟინერი, მცხოვრები გოგოლის № 4, წარადგინა ეროვნული ფრონტი— რადიკალურმა კავშირმა.

წევრები;

ჭიქია მარინა—ქალაქის დაზღვევის ინსპექცია, ეკონომისტი. მცხოვრები კოლხეთის № 70, წარადგინა საქართველოს ეროვნულ ქრისტიანულმა პარტიამ.

არახამია იურა—საყოფაცხოვრებო სამმართველოს მძღოლი, მცხოვრები ქობულეთის ქ. № 27, წარადგინა ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირმა,

ჩხაპელია ბეჟანი—იქ. ქალალდის წარმოების მემანქანე. წარადგინა მერაბ კოსტავას საზოგადოებამ.

კუტალია როინ —პრეფექტის პირველი მოადგილის თანაშემწე, მცხოვრები ბაქოს ქუჩა № 2, წარადგინა ჰელსინკის კავშირმა.

ნინუა ნონა— კომპარტიის საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორი, მცხოვრები ქ. ზუგდიდში, წარადგინა საქართველოს დამოუკიდებელმა კომპარტიამ.

ხორავა მიხეილი— მხატვართა კავშირის წევრი, მცხოვრები წმინდა ნინოს ქუჩა № 8, წარადგინა საქართველოს სახალხო ფრონტმა.

ჯიქია გავროში—წისქვილკომბინატის დამხმარე მეურნეობის დირექტორი, მცხოვრები ლუქსემბურგის 87, წარადგინა ბლოკმა თავისუფლებამ.

კონსტანტინე გამსახურდია—100

# დიდ მწერალს გული სტკიოდა

ქართველი ერის სათაყვანებელი მწერალი კონსტანტინე გამსახურდია ხმალამოღებული გუშაგად ადგა თავზე ყოველივე ეროვნულს, წინაპართა ოფლითა და სისხლით მოტანილს, თავისთავადობა შენარჩუნებულს. მას ღრმად სწამდა, რომ განგებისა და კაცის ხელით შექმნილ მარადიულ საგანძურს ნამდვილი ჭირისუფლობა და პატრონობა სჭირდებოდა. თანამედროვეთაც ხშირად შეახსენებდა თავისი ბასრი კალმით, რომ სალაფას ძილისთვის ასე მიეცა თავი და წინ გადაუდგომოდა ყოველი ჯურის უგუნურსა და ხელმრუდს, ვინც ქართული თვითმყოფადი კულტურის, ენის, ტრადიციების, სულიერი თუ მატერიალური ფასეულობების ფეხქვეშ გათელვას განიზრახავდა.

მისი შინაგანი ტკივილისა და მღელვარების საგანი მუდამ გახლდათ საქართველოს ბუნება, მისი სიწმინდის დაცვა. ამისი ნათელი მაგალითია ავტორისთვის ჩვეული გზნებით დაწერილი პუბლიცისტური ნარკვევი: „დავიცვათ საქართველოს ბუნება".

მკითხველებს ვთავაზობთ მცირე ფრაგმენტს ამ ნაწარმოებიდან:

„... უკანასკნელ წლებში არაერთგზის მომიელია ტაშირის, თრიალეთის, ქვემო ქართლის სამეგრელოს, აფხაზეთის, სვანეთისა და საინგილოს ტყეები. ამას წინათ ცხენით მოვიარე მთა საციციანო, ოსეთისა და კახეთის ტყეები დამითვალიერებია მრავალგზის.

არაერთგზის შემინიშნავს: მკვიდრთა განუკითხველი თარეში ტყეში, ქურდულად ჩეხვა ტყისა, უბრალო ტაბიკის, ან კონკილის მოსაპოვებლად დაუზოგველად მოჭრა ახალგაზრდა ხისა. უკანასკნელ წლებში ამას დაემატა ა. წ. ნაძვის ხის კულტი, რომელიც არსებითად ჩრდილოეთის ხალხთა ჩვეულებაა. საქართველოში საახალწლოდ იცოდნენ ხის შემკობა, მაგრამ სამისოდ ხმარობდნენ უკვე გამხმარ ხეს.

ერთმა მოხუცებულმა მეტყევემ შემომჩივლა: ჩვენი პრესა არ ეწევა ჭეროვან პროპაგანდას, რათა შეაგნებინოს მოქალაქეთა შორის ასეთ უგუნურებს, თუ რა უბედურება მოელის ჩვენს ქვეყანას ტყეების უსაზღვრო შემუსვრისაგან. ტყეებისადმი ასეთი დამოკიდებულების შედეგები ხელის გულზე გვაქვს უკვე: ჯერ კიდევ ჩემი თაობის თვალწინ საგრძნობლად შეიცვალა საქართველოს ბუნება. შესამჩნევად დაიკლო ენგურის, ტეხურის, რიონის, მტკვრის, ქსნისა და არაგვის წყლის დებეტმა.

გაძლიერდნენ უამური ქარები, მოხშირდნენ ტროპიკული წვიმები საქართველოს დასავლეთში.

სხვაგვარი მტერიც მრავალი ჰყავს ჩვენი ქვეყნის მშვენიერ ფლორასა და ფაუნას. ეს არის ჩვენს დროში მომრავლებული მონადირე.

მონადირე უნდა იყოს ბუნების მოყვარული, მისი სილამაზის აშიკი, მისი მოამაგე. კულტურული ნადირობა უნდა გვესმოდეს მხოლოდ და მხოლოდ როგორც უანგარო სპორტი.

ზოგ მონადირეს დიდ ვაჟკაცობად მიაჩნია რამდენიმე ათეული ფრინველის, ან ნადირის დახოცვა და შემდეგ ნერონის პოზაში გამოჩენა ქალაქის ქუჩებში.

ასეთივე უწესო ნადირობის მსხვერპლია ჩვენი მშვენიერი, ოდესღაც თევზმრავალი მდინარეები. ამ საცოდავ, უმწეო თევზებს დინამიტებითა და ქლორით ებრძვიან ინტელიგენტი ვაჟკაცები. განსაზღვრულ მანძილზე იწამლება და ნადგურდება როგორც დიდრონი თევზები, ისე ლიფსიტები და ქვირითი. სულწასულსა და ხელმოცარულ მეთევზეებს მოთმინება არა ჰყოფნით დასხდნენ მდინარეების პირად, ბუნების სიმშვენიერით აც დასტკბნენ, თან იანკესონ, ან ხელბადით მოჰყვენ მდინარის.

მოვუფრთხილდეთ ჩვენი ქვეყნის ბუნების სილამაზეს, მისი ტყეების და ველების სამკაულს, ნადირსა და თევზს.

ქართველ ხალხს უმკაცრესი გამოცდა მოუწყო ჩვენმა მღელვარე ტრაგიკულმა დრომ. ერთის მხრივ, ცენტრის იმპერიულმა, თავისუფლებისმოყვარე რესპუბლიკების დამთრგუნველმა პოლიტიკამ შექმნა უმძიმესი პირობები, რომლის გარღვევა თითქმის შეუძლებელი ხდება. ამას დაემატა სტიქიის მიერ რიგი რეგიონებისთვის თავს დატეხილი უბედურება. ნგრევის მასშტაბები მეტად დამაღონებელია. საყოველთაო გაჭირვებამ ერთ მუშტად შეკრა ერი და ბერი. ხელისუფლებისა და ხალხის ამდაგვარი ერთიანობა არავის ახსოვს. საქართველოს ეროვნული მთავრობა ყველა ღონეს მიმართავს სავალალო ფარიკაობაში ჩავარდნილი ხალხის გამხნევებისათვის. ამას წინათ მიწისძვრით დაზიანებული რაიონები კიდევ ერთხელ მოინახულა საქართველოს პრეზიდენტმა, ბატონმა ზვიად გამსახურდიამ. მან იმედი, გაჭირვებიდან თავის დაღწევის რწმენა მიიტანა ხალხთან. ერთხელ კიდევ თვალნათლივ აღვიქვით მთავრობისა და ხალხის ერთიანი ძალისხმევის, აგრეთვე უცხოეთის ქვეყნების ჰუმანიტარული დახმარების მასშტაბები. კმაყოფილებას გვანიჭებს ის ფაქტი, რომ გაჭირვებულ თანამოძმეებს გვერდით დაუდგა ჩვენი ქალაქი და რაიონიც. პროკურატურასთან შექმნილი საგანგებო შტაბი ქმედით ღონისძიებებს სახავს დაზიანებული ოჯახების დასახმარებლად. მათი დახმარების მიზნით გადაირიცხა დიდძალი თანხა ქალაქის პროკურატურის ფონდიდან. ასეთი ერთსულოვნება კიდევ უფრო განამტკიცებს ერს, სულიერ მხნეობას მატებს ეროვნულგანმათავისუფლებელი მოძრაობის თავკაცებს. ამაოდ ფიქრობენ ზოგიერთნი, რომ შექმნილი სიძნელეები საქართველოს უზენაეს საბჭოს პოლიტიკურ კურსს შეაცვლევინებს და კაპიტულაციის გზისკენ უბიძგებს. აგრესორთა ყოველი ცდა, შეარყიონ ჩვენი ხალხის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პოზიციები, გაალვივონ შიშისა და უიმედობის ფსიქოზი, განწირულია ჩასაფუშავად. ეროვნული მთავრობა, გამოხატავს რა მთელი ხალხის ნებას, მიმართავს გონივრულ ტაქტიკას ვითარების სტაბილიზაციისათვის.

დარწმუნებული ვარ, თავდადებული შრომით, ურთიერთ მხარში ამოდგომით, მედგარი სულისკვეთებით ჩვენი ხალხი მიაღწევს თავის სანუკვარ მიზანს.

## გაჭირვება ვერ შეგვაშინებს

ბ. მამფორია,
პენსიონერი.

ჩერნობილის ექო

# მოწყალეა ქართველის გული

ჩერნობილის ტრაგედია კაცობრიობის ისტორიის ერთერთ შავ ფურცლად აღიქმება ყველა კეთილი ნების ადამიანის ცნობიერებაში. საბჭოთა იმპერიაში თითქმის ცხოვრების ნორმად იქცა უდანაშაულო ადამიანთა მსხვერპლი, ცრემლი და ტკივილი, სამართლებრივი განუკითხაობა თუ სოციალური დაუცველობა... ჩერნობილიც იმპერიული რეჟიმისა და უზნეობის, ხელისუფალთა უპასუხისმგებლობა-გულგრილობის შედეგი გახლავთ.

ციფრები და ფაქტები, რომლებიც საღვთისოდ ცნობილია ყველასათვის, მხოლოდღა მიახლოებით თუ ასახავენ ჩერნობილის უბედურების მასშტაბებს. მთავარი მსხვერპლი ამ ადამიანური გონების ჯოჯოხეთური გამოგონებისა ისევ ადამიანი და დედა-ბუნებაა. ჩერნობილი კიდევ დიდხანს, დიდხანს არ დაგვავიწყებს თავს. სამწუხაროდ, რადიაციამ არ იცის საზღვრები.

ჩერნობილის ტრაგედიაზე ამ პატარა საგაზეთო წერილის დაწერა კონკრეტულმა ფაქტმა განაპირობა. ამას წინათ, შემთხვევით, ხელში ჩამივარდა ზუგდიდის ჩაის ექსპერიმენტული ფაბრიკის ადმინისტრაციის სახელზე საქველმოქმედო ფონდ „ჩერნობილის ბავშვების" გომელის (ბელორუსია) სათავო განყოფილების მიერ გამოგზავნილი თხოვნის ბარათი.

„დახედეთ ამ ფოტოებს. მათზე აღბეჭდილია ჩვენი ტკივილი და მწუხარება",—ასე იწყება მუდარით აღსავსე წერილი, რომელსაც თან ერთვის ცალკე ფურცელზე კლიშირებული ფოტომასალა 3 ბავშვზე, რომლებიც რადიაციის შედეგად დასახიჩრებულ-განწირულნი მოევლინნენ ცოდვილ ქვეყანას. ბავშვები, ცალფეხა, ცალხელა, ექვსთითა, ანომალიური გარეგნობის გოგონები და ბიჭუნები... სულისშემძვრელია და ყველაზე ბურთის გამჩხირავი ბათი ხელვა! „პომოგიტე"!!—ყვირიან, ზეცას შეღაღადებენ საწყალობელი არსებანი.

...ითხოვენ რა ფულად დახმარებას, წერილში აღნიშნულია, რომ გომელის ოლქმა საკუთრივ მიიღო ჩერნობილის ავარიის შედეგად მთლიანად ამოფრქვეული რადიონუკლიდების თითქმის 40 პროცენტი. მოიწამლა ველ-მინდვრები, ბაღჩა-ბაღები, ტყეები და მდინარეები... აშკარა საფრთხეშია ადამიანთა სიცოცხლე. ბავშვები მოკლებულნი არიან ბუნებასთან ცოცხალ კონტაქტს. ისინი მეტწილ დროს საბავშვო ბაღის, სკოლისა თუ საცხოვრებელი ბინის ოთხ კედელს შორის ატარებენ... მათთვის აუცილებელია უსაფრთხო ზონაში დასვენება და მკურნალობა. საორიენტიროდ ერთი ბავშვის პროფილაქტიკას თვეში 500 მანეთი სჭირდება. დღეს ასით დახმარებას გომელის ოლქში 169 ათასი ბავშვი მოელის. დაეხმარეთ თუნდაც ერთს,—იწვ ეწებიან ბელორუსიიდან.

მოწყალეა ქართველის გული. ვინ ვინ და ჩვენთვის სხვის ჭირს არასოდეს ჰქონია ლობიო ჩხირის ადეკვატური ფასი.

დღეს რომელი საწარმოა ფინანსურად გალაღებული? რომელ ჩვენგანს აკლია სატკივარსაზრუნავი? და მაინც: ექსპერიმენტული ჩაის ფაბრიკის კოლექტივმა (დირექტორი ნუგზარ გულუა) 5 ათასი მანეთი გადაურიცხა ფონდს „ჩერნობილის ბავშვები".

ღმერთმა ჯანმრთელობაში მოგიმართოთ!

ჯამბულ არქანია.

მრეწველობა—91

## მონდომებით და უწუნოდ

ყრუ მუნჯთა საზოგადოების ზუგდიდის საწარმოო წამოწყების ბამბის საამქროს (უფროსი ოთარ ფარფალია), კოლექტივმა მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ნაცვლად 100 ათასი მანეთის პროდუქციისა გამოუშვა 110 ათასი მანეთის პროდუქცია. გადამეტებითაა შესრულებული აპრილის დავალებაც. აპრილში გეგმიური 50 ათასი მანეთის ნაცვლად გამოშვებულია 51 ათასი მანეთის პროდუქცია.

მონდომებით და უწუნოდ შრომობენ მუშები: გულნაზ, ნონა ...რახამიები, ნაზია ბულია და სხვები.

რიტმული შრომა გრძელდება მაისშიც.

საწარმოები დღეს

# კარგია ჯანსაღი ოპტიმიზმი

ფაიფურის ქარხანაში ვიკითხე: რასა იქმთ, როგორ შრომობთ და ცხოვრობთ-მეთქი. მიპასუხეს: იმედიანადა ვართ, ისე, როგორც თავისუფლებისათვის მებრძოლი ერის შვილებს ეკადრებათ... კი, გასულ პირველ კვარტალში ელექტროენერგიის დეფიციტის გამო ჩავარდნები გვქონდა, მომხმარებელს 1 მილიონ 500 ათასი მანეთის პროდუქცია დავაკელით, მაგრამ შემდეგ მუშაობა აეწყო, აპრილში დაგეგმილი პროგრამის შესრულება მთლიანად უზრუნველვყავით, ხოლო მაისის თვეში 1 მილიონი მანეთით გადაჭარბებას ვვარაუდობთ.

კარგია ჯანსაღი ოპტიმიზმი. მეფაიფურეთა სიტყვებში ეჭვის შეტანის საბაბი მართლაც არ არსებობს. მონდომება და ენთუზიაზმი?—აქვთ! პროფესიული ოსტატობა?—არ აკლიათ! ნედლეული?— გარკვეული მარაგი გააჩნიათ! ასე, რომ არის ყველა პირობა წლის პირველ ნახევარში უზრუნველყონ შემკვეთთათვის პროდუქციის ...ლიანი მიწოდება, წლეულს 17 მილიონი მანეთის ფართო ასორტიმენტის ნაწარმის გამოშვება.

ამჟამად ქარხანაში გაძლიერებულია ჩაის ფინჯნების გამოშვება, რომელიც მიეწოდება მიწისძვრისაგან დაზარალებულ რაიონებს. წლის პირველ ნახევარში მათ გაუგზავნიათ მთლიანად წლიური ფონდით გ... ნილი ნაწარმი. გარდა ამისა, ქარხნის კოლექტივმა გაჭირვებაში ჩავარდნილ თანამოძმეებს 15 ათასი მანეთის კვების პროდუქტები, ჭურჭლეული და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთები გაუგზავნა. დახმარების ფონდში მეფაიფურეები 80 ათას მანეთს ჩარიცხავენ.

აი, ასე შრომობენ, ცხოვრობენ და იბრძვიან ზუგდიდელი მეფაიფურეები.

ჯ. ჯაბადარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამხატვრო გალერეა გიწვევთ

# გზა მშვენიერებისაკენ

სულამ დაჩრდილა ვარდობისთვის ნათელი. გაძვირდა ღიმილი. თითქოს სული გაეყინათო ადამიანებს და დაკარგესო სიხარულის უნარი. მაგრამ მოდით, მტრის ჯინაზე დარდს ნუ შევეჰმევინებით, წუთით შევიხედოთ ქალაქის სამხატვრო გალერეაში და ნაღველი გავიქარვოთ, ხვალინდელი ღღის იმედით გავთბეთ. ამ დღეებში აქ რაიონის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სახვითი ხელოვნების წრის წევრთა ნამუშევრების გამოფენა გაიხსნა.

ნორჩი მხატვრები ძირითადად გუაშით და ფანქრით მუშაობენ. მათი ინტერესის სფერო მრავალფეროვანია. ძირითადად კი — პორტრეტს, პეიზაჟს; ნატურმორტს ხატავენ. აშკარად იგრძნობა ფერთა საოცარი გამა, მოზარდის ორიგინალური ხედვა. ბევრგან დახვეწილი, ნაცადი ხელწერა ჩანს, ბევრგან გაუბედავი, ჯერაც დაუსრულებელი შტრიხები იმზირება, მაგრამ ნამუშევარი სუფთად, აკურატულადაა შესრულებული. წარმოდგენილ სამოცდაცამეტსავე ნამუშევარში აშკარად ჩანს ავტორთა სწრაფვა პროფესიონალური სრულყოფისაკენ.

სახვითი ხელოვნების წრე 1986 წლიდან არსებობს რაიონის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლთან. მას ახალგაზრდა კაცი, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის კურსდამთავრებული ჯანსულ ქურდულია ხელმძღვანელობს. უკვე მესამედ აწყობენ ასეთ გამოფენას მისი მოსწავლეები, გვითხრა სახლის დირექტორმა მადლენა დამენიამ.

სახვითი ხელოვნების წრეში ნორჩი მხატვრები ასაკისა და უნარის მიხედვით დაყოფილ ჯგუფებში მეცადინეობენ. ზოგი მთაგანი უბრალოდ, მხატვრობითაა გატაცებული, და შესაძლებლობებს იმოწმებს, გემოვნებას იხვეწს. ზოგს უფრო სერიოზული ჩანაფიქრი აქვს: ხელოვნების მწვერვალებისკენ ისწრაფვის, მხატვრობას აპირებს.

სამხატვრო გალერეის დარბაზში საკმაოდ ბევრი სტუმარია თავმოყრილი. ალბათ, ყველაზე მეტად პედაგოგი ღელავს. მისი მზერა თითოეულ დამთვალიერებელს სწვდება (ხშირად ხომ უსიტყვოდაც ჩანს განწყობა!) — წრეში დაკავებულთაგან ყველაზე უფროსი 16 წლისაა, ყველაზე უმცროსი — 8-ის. ზოგი უკვე მეოთხე-მეხუთე წელია მეცადინეობს, ზოგი კი ორიოსამი თვეა მოვიდა, — გვითხრა ჯანსულ ქურდულიამ, — შესანიშნავი სახელოსნო გვაქვს, ყოველმხრივ კეთილმოწყობილი და უზრუნველყოფილი. არიან ნიჭიერი ბავშვებიც. რა თქმა უნდა, ვინც სახვითი ხელოვნების წრეში მეცადინეობს ყველა მხატვარი როდი იქნება, მაგრამ მხატვრული ტილოს სათანადოდ აღქმას, შეფასებას კი ნამდვილად შესძლებენ. ამასაც ხომ აღზრდა, შეჩვევა სჭირდება.

სტუმართა შორის ქალაქის სამხატვრო სკოლის დირექტორი სერგო ხუბუტიაც შევნიშნეთ. მასაც ვთხოვეთ რამდენიმე სიტყვით შეგვეწიოდა:

— რა გითხრათ, მხატვრობას თავისი კანონები აქვს, მკაცრი კანონები. ეტყობა, მოზარდები სერიოზულად მუშაობენ, ფიქრობენ, ეძებენ, ხელს იწაფავენ. მისასალმებელია. ისე ეს გამოფენა უპირველესად პედაგოგის გამარჯვებაა, კვლავაც წარმატებები ვუსურვოთ...

ჯანსულ ქურდულიას ვთხოვეთ წარმოდგენილი ნამუშევრებიდან საკუთარი სურვილით შეერჩია რამდენიმე. ერთი პირობა თავი შეიკავა, შემდეგ კი, „ხუთწლიანებს" (როგორც მათ წრეში მეცადინეობის სტაჟის მიხედვით ეძახიან) ინგა ოყუჯავას, გია ქობალიას და კობა ჯოჯუას ნახატებზე მიგვითითა და იმედიანად ისიც დასძინა: ეს სამი ახალგაზრდა შეიძლება სამომავლოდ ზუგდიდელ მხატვართა რიგებს შეემატოსო.

თითქოს ამაღლებული განწყობით დავტოვეთ სამხატვრო გალერეა, მაგრამ ტკივილი იქიდანაც გამოგვყვა: ზემოთ გითხარით გამოფენა გაიხსნა. არა, კი არ გაიხსნა, უბრალოდ ნორჩი მხატვრების ნამუშევრები გამოიფინა და ვისაც სურვილი ჰქონდა დაათვალიერა. სამწუხაროდ, არც მასპინძელთა და არც სტუმართა შორის არ აღმოჩნდა ისეთი ადამიანი, რომელიც ორიოდ თბილ სიტყვას ეტყოდა სახვითი ხელოვნების წრის წევრებსა და მათ მშობლებს, გნებავთ მათ პედაგოგს, რომელიც ეტყობა საქმეს ძალასა და ენერგიას არ აკლებს. სტუმართა კეთილი სურვილები და შენიშვნები ამ სტრიქონების ავტორსაც დაეხმარებოდა მეტი დამაჯერებლობა და სიღრმე მიეცა ნათქვამისთვის. ცერემონიალის დროთა, მკითხავს ვინმე გულშეჯერებული... ნუ გავუნელებთ პატარებს საზეიმო განწყობას, ნუ წავართმევთ სიხარულს, თორემ ერთ მშვენიერ დღეს, ამაღლებული სულის ნაცვლად ან გაყინული რობოტი, ან რწმენადაკარგული, უიმედო ადამიანი შეგვრჩება ხელში და სამყაროს დასასრულიც სწორედ მაშინ დაიწყება!...

ნ. მოსიძე.

ჩაი—91

## დაიწყეს კრეფა

დარჩელის ჩაის მეურნეობის მუშები გავიდნენ მწვანე პლანტაციებში. დაიწყო ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა. შრომის იჯარული ფორმით დამზადდება 1500 ტონა ჩაის ფოთოლი.

14 მაისს კრეფას პირველები შეუდგნენ №7 ბრიგადის (ხელმძღვნელი ჟორა ბიგვავა) წევრები. მათ მრეწველობას მიყიდეს 6 ტონაზე მეტი ნედლეული.

ამ დღეებში დაიწყება მასიური კრეფა.

## მაღულონს ღემპი

შრომის იჯარულმა ფორმამ, ანაზღაურების ახალმა სისტემამ დადებითად განაწყო კორცხელელი მშრომელები, რომლებიც ჩაის მწვანე პლანტაციებში ახვავებენ ნედლეულს.

9 მაისს დაიწყო შერჩევითი კრეფა. ნავარაუდევია წელს აქ დამზადდეს და მრეწველობას მიეყიდოს 1500 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი. კრეფას პირველები შეუდგნენ ის ბრიგადები, რომლებსაც ტარიელ ბაკარაძე, ამირან კვარაცხელია, ელდარ ბერაძე უძღვებიან.

დღიური კრეფა აღემატება 10-15 ტონას. ნედლეული შეუფერხებლად ბარდება №1 ჩაის ფაბრიკას (დირექტორი გ. გოგოხია), რომელიც სრულიად მომზადებული შეხვდა სეზონს.

# ბორჯომი... ღვინის ფასად?

დიდი გასაჭირი რომ გვადგას თავს პოლიტიკურადაც და ეკონომიურადაც, ამას კარგად ვხედავთ, ვხედავთ და ბევრ რამეს ვითმენთ, ვითმენთ იმ რწმენით, რომ ბოლოსდაბოლოს ველირსებით ნანატრ დამოუკიდებლობას, ჩვენვე გავხდებით ჩვენი თავის პატრონი.

ჩვენ კი ვითმენთ, პატიოსანი მშრომელები, მაგრამ საზოგადოების ერთი ფენისთვის ყოველგვარი გასაჭირი ხელის მოთბობის სავანი გამხდარა. ნუთუ ეს არის ჩვენი ხალხის ერთსულოვნება საერთო მტერთან ბრძოლაში, როცა ერთმანეთის თანადგომის ნაცვლად ერთმანეთს ტყავს ვაძრობთ. აბა რა არის ეს, რომ ერთი ბოთლი (0,5 ლიტრი) ბორჯომი მანეთად იყიდება? გამოდის, რომ ერთი სრული ლიტრი 2 მანეთია. (ბოთლის გარეშე). ესეიგი, ბორჯომს და ღვინოს ერთი ფასი აქვს? ვინ დააწესა ეს ფასი ან რატომ არ ისჯებიან მისი თვითნებური მოქმედნი? როგორც იტყვიან „ავრორასაც" მათთვის გაუსვრია, დღევანდელი გარდაქმნებიც და გასაჭირიც მათ სასარგებლოდ არის და მომავალშიც ალბათ არხეინად იგრძნობენ თავს.

წოსკოვი რომ გვავიწროებს, ეს ფაქტია, მაგრამ აქ ადგილზე ხომ შეიძლება ასეთი ქაოსი და უწესრიგობა შევზღუდოთ?

ანკი როგორ შეიძლება, რა სამართალია, ქვეყანას ტკივილები ერთნი წვალობდნენ, მეორენი კი არხეინად გრძნობდნენ თავს?

ბ. ჩქვანავა.

ლვაწლი

# ჩაის ტექნოლოგიის ამაგდარი

სპეციალისტს, ტექნოლოგს, საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებულ გამომგონებელს და რაციონალიზატორს, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორს პროფესორ რევაზ ხოფერიას დაბადებიდან 60 და საზოგადოებრივი, სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის 35 წელი შეუსრულდა.

იშვიათია კაცი ასე იყოს შეყვარებული თავის პროფესიაზე. ამას თუნდაც ის ადასტურებს, რომ მისი საოჯახო უნიკალური კოლექცია მსოფლიოს ყველა ქვეყნის 5000-მდე ნიმუშს აერთიანებს. ჩაის ტექნოლოგიის სამსახურს მოახმარა მან თავისი შეგნებული ცხოვრების საუკეთესო წლები.

ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში 1954 წელს სამეცნიერო მოხსენებით წარსდგა სტუდენტთა საკავშირო კონფერენციაზე. ცვლის რიგით ტექნოლოგად მუშაობდა ზუგდიდის №1 ჩაის ფაბრიკაში, როცა დაიწყო მისი მისწრაფება სიახლეების ძებნისაკენ და დღეს ის უკვე 50-მდე გამოგონების, 80-ზე მეტი რაციონალიზატორული წინადადების და 135 სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, მათ შორის 4 მონოგრაფიისა და ყველა ამ შემოქმედების ძირითადი თემაა ჩაი.

პროფესორ რევაზ ხოფერიას პირველ უნდა მივიჩნიოთ მის მიერ შექმნილი ახალი სახის პროდუქცია „ენგური", რომელმაც სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე ოქროს მედალი მოიპოვა. მისივე ხელმძღვანელობით შეიქმნა და რეალიზაციაშია ისეთი სახის ჩაის მზა პროდუქციები, როგორიცაა: „საამო", „ოდიში", „ეგრისი" და სხვა.

იმასთან დაკავშირებით, რომ ზუგდიდი არის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ჩაის მწარმოებელი რაიონი რევაზ ხოფერიას ინიციატივით სწორედ აქ შეიქმნა ჩაის მრეწველობის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ჩაის წარმოების ტექნოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია, საიდანაც 1979 წლიდან მისი ხელმძღვანელობით, გაიცა 26-ზე მეტი სხვადასხვა სახის რაციონალიზატორული რეკომენდაცია; აღნიშნულ ლაბორატორიაში მისი უშუალო მონაწილეობით და ხელმძღვანელობით მომზადდა ერთი სადოქტორო და ორი საკანდიდატო დისერტაცია.

პროფესორი რ. ხოფერია ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას, განსაკუთრებით ჩაის მრეწველობის ახალგაზრდა სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლებისა და მეორე სპეციალობის ტიტესტერების მომზადების საქმეში. წლების განმავლობაში ეწეოდა ნაყოფიერ მუშაობას საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში.

ამჟამად ხელმძღვანელობს კვალიფიკაციის ამაღლების საკავშირო ინსტიტუტის ამიერკავკასიის ფილიალში ინტენსიური ტექნოლოგიის კათედრას. მისი ხელმძღვანელობით მრავალმა მაძიებელმა დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. იგი საქ. სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტთან შექმნილი რეგიონალური სპეციალური სამეცნიერო საბჭოს წევრია.

შემოქმედი მეცნიერის შრომის დიდი დაფასება იყო ჯერ თბილისში, შემდეგ კი მოსკოვში მისი ნამუშევრების პერსონალური გამოფენის მოწყობა, რომელმაც დამთვალიერებელთა ერთსულოვანი აღიარება მოიპოვა.

ვუსურვოთ მას რომ ჩვეული ენერგიით კვლავ დიდი სიკეთე მოეტანოს თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველოსთვის.

ი. ბებია,
ჩაის ტექნოლოგიის ლაბორატორიის გამგე.
ტ. ფანჩანი,
აგროსამრეწველო გაერთიანების მთავარი ინჟინერ-ტექნოლოგი.

ხსოვნა

## ოთარ ჩიქვაია

თითქოს იცოდი მალე დაგვტოვებდი და ცდილობდი მოგესწრო ყველაფერი, ყველასთვის გაგეყო შენი სიკეთე და სიხარული. დიდი სითბო და სიყვარული დაგვაკლდა შენს შემდეგ. უდროოდ წახვედი ამ ქვეყნიდან, მხოლოდ 57 გაზაფხულს შეეგებე მამა...

ძნელია იმ გრძნობის გამოხატვა, რასაც ახლობელთან სამუდამო განშორების ტკივილი ჰქვია.

ცრემლებში გაილია აუტანლად მძიმე დღეები, ვერაფრით შევეგუეთ უშენობას. გვაკლიხარ, გვენატრები, მონატრებიხარ შვილებს: სოსოს, ხვიჩას, ონისეს, ეკას, შვილიშვილებს: კონსტანტინეს, ვახტანგს, ოთარს, ირაკლის. მონატრებიხარ შენს ამხანაგებს: ცეკავშირის ავტოსატრანსპორტო საწარმოს კოლექტივს, სადაც 30 წელი იმუშავე....

შენს საფლავზე ასულები, ვინ იცის მერამდენედ გეუბნებით, რომ გვენატრები, გვენატრები და გვაკლიხარ, გეუბნებით რომ დაგვრჩა სიცარიელე, რომელსაც ალბათ ვერაფერი შეავსებს...

ნონა ხორავა.

# რასაც დათეს...

## (ნამდვილი ამბავი)

ეს ამბავი სამეგრელოს ერთ პატარა, მთისძირა სოფელში მოხდა.

ის დრო გახლდათ, როცა საკოლმეურნეო მოძრაობა განვითარების ზენიტს აღწევდა. კოლმეურნეობის მესვეურები სოფელს მოსვენებას არ აძლევდნენ ხან პირუტყვის ჭარბად ყოლას უკრძალავდნენ, თუმცა რაოდენობაც განსაზღვრული ჰქონდათ— ერთი ძროხა თავის ნამატით... ხან დროებით სარგებლობაში გადაცემულ მიწის ნაკვეთს მერამდენედ მიუზომავდნენ, აქაოდა მიწის ნაკვეთმა ხომ არ იბარტყაო... და კიდევ ვინ მოთვლის რას არ გადაამოწმებდნენ არაერთგზის შემოწმებულ-აღრიცხულს.

სოფელში ამ საქმეს ყავდა თავისი „მეცენატი"—კოლმეურნეობის თავკაცის ძმა, უშვილძირო, ბერბიჭა იასე. იგი ისე მეურვეობდა თითოეული მოსახლის მიწის ნაკვეთს, თითქოსდა მისი ნაწყალობევი ყოფილიყო. კვირაში ერთხელ თავისი „ჩაფრებით" დაუვლიდა სოფელს, და ვაი მას, ვისაც ხელი წაუცდებოდა „სახელმწიფოს" მიწაზე. თუნდაც საბოსტნედ შემოღობვა საკმარისი იყო იმისათვის, რომ ამ „ცოდვის" ჩამდენს თეთრი დათვების ქვეყანა უკან დარჩენოდა.

დიახ, ასეთ საქმეებში იასე მეტად დახელოვნებული გახლდათ, რის გამოც სოფლის გარეთაც „დიდი ავტორიტეტით" სარგებლობდა... და მიდიოდა დღეები ასე, იფურცლებოდა კალენდარი.

ბოლოს ცოდვილი იასეც არ შერჩა ამ წუთისოფელს, დეკემბრის ერთ სუსხიან დღეს მიქელგაბრიელის „ემისარმა" მოაკითხა და...

სოფელმა შვებით ამოისუნთქა, ჩქარობდნენ ამწიოკებლის გვამის მიწისათვის მიბარებას, დაინიშნა დაკრძალვის დღეც, შეირჩნენ ამ საქმის სპეციალისტები ვპ-ს თავაკცობით. ეს უკანასკნელი დიდად დავალებული იყო იასესგან.

...დანიშნულ საათს პროცესია სასაფლაოსაკენ გაემართა.

ცხედარს ჭირისუფლები გამოარიდეს და დაიწყო დასაფლავების ცერემონიალი, მაგრამ... საფლავის სივიწროვის გამო კუბო თხრილში ვერა და ვერ ეტეოდა...

იქვე მდგარმა იასეს ახლობელთაგანმა მესაფლავეებს უსაყვედურა: რა მოგივიდათ, თქვე დალოცვილებო, საფლავი რომ ვიწრო გამოგსვლიათო.

—როგორ გეკადრებათ ბატონო,— გაწიწმატდა მესაფლავეთა თავკაცი ვ. პ. —ჩვენ მისი ანდერძი შევასრულეთ... ის ხომ მთელი სიცოცხლე ფხიზელ დარაჯად ედგა საკოლმეურნეო მიწას, გოჯსაც არავის შეარჩენდა, ყველამ თავისი წილი და ნორმა იკმაროსო... ჰოდა, ჩვენც სწორედ თავისი ნორმა მივუზომეთ, იკმაროს უნდა! ასეა ეს!

სხვა საშველი არ იყო, ყველამ, ერთად დაუწყო კუბოს ჯაჯგური და როგორც იქნა ცხედარი ხმაურით ჩაიკარგა მიწის სიღრმეში...

ერთმა შეზარხოშებულმა ჭირისუფლების გასაგონად ჩაიქირქილა: ასეა ბაბა, რასაც დათეს—იმას მოიმკი!

...იმ სოფელში იასეს დაკრძალვის დღეს ახლაც ღიმილით იგონებენ, თავად იასეს კი—არავინ ახსენებს, ყოველ შემთხვევაში —კეთილი სიტყვებით.

ლუდვიკ ბარქაია.

ფეხბურთი

# დიდი ანგარიშით

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგება ისეთ ავტორიტეტულ კლუბთან, როგორიც „ქუთაისი" გახლავთ, ფრიად სასიამოვნოა ნებისმიერი გუნდისათვის, ხოლო თუ ამას აღწევ ორბურთიანი „დეფიციტის" შემდეგ —ეს უკვე ვაჟკაცობაც არის.

კვირას, 12 მაისს „ოდიშისა" და „ქუთაისს" შორის გამართული მატჩი საშუალო ტემპით დაიწყო. მიმდინარეობდა ბრძოლა ინიციატივის ხელში ჩასაგდებად მოედნის შუაგულში, როდესაც ქუთაისელმა ფაიქიძემ მე-12 წუთზე ძლიერი და ზუსტი დარტყმით „ცხრიანში" გაგზავნა ბურთი. და სანამ ზუგდიდელები გონს მოეგებოდნენ, ხუნდაძემ ორამდე გაზარდა ანგარიში—0:2. ყველაფერი ეს მოხდა სწრაფად და მოულოდნელად.

„შოკიდან" პირველი გამოვიდნენ მეხუთე სექტორში მყოფი გულშემატკივრები. მხოლოდ მათ სჯეროდათ საყვარელი გუნდისა და ის, რომ თამაში ჯერ კიდევ არ არის წაგებული. სიმღერამ, შეძახილებმა ოპტიმიზმი ჩაუნერგა ოდიშელებს, გუნდი გამოცოცხლდა და სრული დატვირთვით ამოქმედდა. შედეგმაც არ დააყოვნა—ბიგვავამ 35-ე წუთზე გაქვითა ერთი ბურთი.

მეორე ტაიმის დაწყებიდანვე მასპინძლებმა ნწვავედ შეუტიეს სტუმრების კარს და აი, 47-ე წუთზე ყიზილაშვილის თავური დარტყმის შემდეგ ანგარიში გათანაბრდა —2:2. წარმატებით ფრთაშესხმულმა მასპინძლებმა მთლიანად „ჩაკეტეს" თავის ნახევარში სტუმრები. განსაკუთრებით აქტიურობდნენ ჯავაშვილი, ნაჭყებია, შეროზია და ბიგვავა, რომელიც ტრავმის შემდეგ თანდათან შედის მისთვის ჩვეულ სპორტულ ფორმაში. ყველაზე დიდი მოწონება იმ დღეს მაინც ყიზილაშვილმა დაიმსახურა, რომლის ერთ-ერთი რეიდი თერთმეტმეტრიანი საჯარიმოთი დაგვირგვინდა. შეროზია ზუსტად ურტყამს საჯარიმოს და ანგარიში ხდება 3:2, ეს მოხდა 55-ე წუთზე, ხოლო მე-80 წუთზე მალანიამ ოთხამდე გაზარდა ანგარიში.

4:2—ასე დამთავრდა ეს საინტერესო დრამატიზმით აღსავსე მატჩი.

რ. გაბისონია.

რედაქტორი
აკ. ჭანტურია.

ზუგდიდის ცენტრალური სტადიონი

საქართველოს ეროვნული 1991 წლის საგაზაფხულო ჩემპიონატი

(უმაღლესი ჯგუფი)

19 მაისი

„ოდიში" ზუგდიდი „ბურია" ლანჩხუთი

დასაწყისი 18 საათზე.

22 მაისი

„ოდიში" ზუგდიდი ბათუმი „ბათუმი".

დასაწყისი 18 საათზე.

ორივე თამაშზე გათამაშდება ერთგულების ლატარია. ლატარიის ბილეთები და სტადიონზე შესასვლელი ბილეთები გაიყიდება 17, 18, 19, 20, 21, 22 მაისს დილის 10 საათიდან.

საფეხბურთო კლუბი „ოდიში".

„ზუგდიდი"—91"

აღმოსავლური ორთაბრძოლის ცენტრი „ავაზა" 17-18-19 მაისს ატარებს მესამე სემინარ-ტურნირს „ფუდოკან კარატე დო"-ში.

17 და 18 მაისს ჩატარდება საატესტაციო სემინარი, 19 მაისს ტურნირი. მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს ყველა კუთხის კარატისტები, მოზარდები 14-დან 16-[illegible]ამდე და ზევით. შეჯიბრება ჩატარდება ოტოკაეფის წესით.

სემინარს ატარებს „ფუდოკან კარატე დოს" ფედერაციის დირექტორი ზურაბ მერაბიშვილი (მე-2 დანი, ქ. თბილისი).

სემინარისა და ტურნირის ჩატარებისას მთავარი ყურადღება დაეთმობა ტრადიციულ ფორმებს და ფუდოკან კარატე დოს საბრძოლო პრინციპებს. ქ. ზუგდიდიდან სემინარისა და ტურნირის მონაწილეებს წარადგენს აღმოსავლური ორთაბრძოლის ცენტრი „ავაზა" (თავმჯდომარე ზ. ოყუჯავა). ორგანიზაციის სპონსორია ჩაის კომბინატი „ოდიში".

მსურველებს ბილეთები შეუძლიათ შეიძინონ საწარმოო გაერთიანება „საქქალაქმრეწვის" სპორტულ გამაჯანსაღებელ კომპლექსში.

ზუგდიდის ეროვნული, ექსპერიმენტულ-პროფილირებული სკოლა აცხადებს მე-10—მე-11 კლასის მოსწავლეთა მიღებას 1991-1992 სასწავლო წლისათვის ფიზიკა-მათემატიკის, საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ პროფილზე:

მოსწავლეთა ჩარიცხვა იწარმოებს მისაღები გამოცდების შედეგების მიხედვით, რომელიც ჩატარდება 10 ივნისიდან 20 ივნისამდე შემდეგ საგნებში:

ფიზიკა - მათემატიკის პროფილზე:

1. მათემატიკა (წერა), 2. ფიზიკა (ზეპირი). 3. გეომეტრია (გასაუბრება).

ჰუმანიტარულ პროფილზე:

1. მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა). 2. საქართველოს ისტორია (ზეპირი). 3. უცხო ენა (ზეპირი).

საბუნებისმეტყველო პროფილზე.

1. ბიოლოგია (ზეპირი). 2. ქიმია (ზეპირი). 3. მათემატიკა (გასაუბრება).

მოსწავლეებს მოეთხოვებათ, შესაბამისად მე-10 და მე-11 კლასამდე საშუალო სკოლის პროგრამით გათვალისწინებული საკითხების ცოდნა.

გაგაცნობთ ცალკეულ პროფილებზე მიმღები საგამოცდო კომისიის შემადგენლობას.

საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე—სკოლის დირექტორი გ. პაპავა.

საგამოცდო კომისიის პასუხისმგებელი მდივანი —ნ. ქირია.

კომისიის წევრები:

ფიზიკა-მათემატიკის პროფილზე— გ. ბელქანია, პ. ჯანჯღავა, გ. პაპავა, რ. ლოგუა, ზ. ბეჭვაია, თ. ახალაია;

საბუნებისმეტყველო პროფილზე —ბიოლ. მეცნიერებათა კანდიდატი გ. ესართია, ც. კვიკვინია, მ. ქობალია.

ჰუმანიტარულ პროფილზე— ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ჯ. ნაყოფია, ზ. კუპრეიშვილი, მ. თოდუა, ნ. ქირია, ზ. სარია.

განცხადებები მიიღება ყოველდღე 9 საათიდან 17 საათამდე, 8 ივნისამდე. გამოსასვლელი დღე—კვირა.

მისამართი: მერაბ კოსტავას 60.

ზუგდიდის ეროვნული სკოლა.

შვილები: რეზიკო, მამუკა, მანანა, მარინა, რძლები: დოდო ქობალია, მაია ახალაია, სიძეები ლუდუნი კოპეშავიძე, იურა ყალიჩავა, ჯუმბერ ქირია, შვილიშვილები: მანანა, თამუნა, თამუნა, ეკა, გოგა, გენკა, ზურიკო, შოთიკო, დისშვილები გინადი, ევთხვინე, ლომია, ნატო კოპეშავიძეები, მული ქენია ლატარია, მეზობლები გიორგი ყალიჩავა, შოთა ახალაია, ტატაჩი ქობალია, ინდიკო ქირია, ბიძაშვილები, მამიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

შოთა ბოჩოს ძე ლაგვილავას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 18, 19, 20 მაისს. დაკრძალვა 21 მაისს. გამოსვენება ქ. ზუგდიდი, ბარათაშვილის ქ. 23.

მეუღლე სვეტლანა თურმანიძე, შვილები: ნინო, დათო, ძმა ოთარი, და თინა, სიდედრი მარგო თურმანიძე, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები იუწყებიან

ანატოლ ვლადიმერის ძე ხოფერიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 16, 17 მაისს, გამოსვენება 18 მაისს, ზუგდიდი, გაგარინის 21 15 საათზე, დაკრძალვა ლანჩხუთში.

მეუღლე ლილი, შვილები: გულთაზი, სამა მატარაძე, რძლები: ნაზი ჯიქია, ძაბული ფიფია, ზინა კუტალია. შვილიშვილები: თეა, სოფიკო, სანათა, ცოლისდა ლეილა, ქვისლები: კოლია, კოკი გვახარიები, ძმისშვილები: იზო, ნაირა, ციალა, ლიანა, ლამარა, ნერაბი, ცოლისდისშვილები: ნანი გოგაძე, ნუგზარი, როლანდი, ვალერი, ჯამბული, იამზე ფიფიები. ცოლისძმისშვილები: გურამი, რიტა, ჟორა, ლუიზა, ანჟელა გვახარიები. მეზობლები, ვარდიშა, მოკოდია ჯიქიები იუწყებიან

ილარიონ (ჩოქო) იონას ძე კუტალიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 16, 17 მაისს. დაკრძალვა 18 მაისს. გამოსვენება სოფ. ძველი აბასთუმანი, გამარჯვების 142.

ცეკავშირის ზუგდიდის საწარმოო კომბინატის თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ამირან გიორგის ძე ლოგუა

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

პანტე თუთბერიძე ოჯახით იუწყება სიძის

ანატოლი ხოფერიას

გარდაცვალებას.

მეუღლე ტატიანა ლუკავა, შვილები ეთერი, რეზო, ძმა ლეონტი, და ქენია, რძალი ლილი ჯაბუა, სიძე გული ნანეიშვილი, შვილიშვილები ზაალ როგავა, მანანა, მამუკა ნანეიშვილები, ძმისშვილები: მურმანი, ციალა როგავები, დისშვილები ავთანდილი, იზოლდა, გულნაზ ქობალიები, ცოლისძმა ბორის ლუკავა, რძალი თინა ყურაშვილი, ცოლისდები ნორა, დინარა ლუკავები, ქვისლი ამირან კვარაცხელია, ცოლისდისშვილები: თამაზი, თენგიზ, გაგა შამუგიები, ზურაბი, ლია კვარაცხელიები, ცოლისძმისშვილები ემზარ, ია, ანგელა ლუკავები, ახლო ნათესავები იუწყებიან რომ გარდაიცვალა

ალექსანდრე (საშა) როსტომის ძე როგავა.

პანაშვიდი 17, 18 მაისს. დაკრძალვა 19 მაისს ქ. ზუგდიდში. გამოსვენება ჭავჭავაძის ქ. 31-დან.

მეუღლე გალინა, შვილები: ვალოდია, ტანია, შვილიშვილები: ვახტანგი, გია, და მზია, ცოლისძმები: ალბერტი, ვიტალი, ცოლისდები ირინა, რენატა შუმილოვები, რძლები: ნატაშა, ქოზეთინა, ძმისშვილები: მერაბი, მელორი, მთვარისა, დისშვილები: თენგიზი, ილგუჯა, ჯემალი, ბიძაშვილები ნორაძი, ლუდა, რეზო, კაპიტონი, შუქრი, სიძე ვალიკო კოლოშვილი, დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ახლო ნათესავები ოჯახებით იუწყებიან

ჟორა (გიორგი) ძუკუს ძე პერტაიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 19 მაისს. გამოსვენება ენგურქაღალდკომბინატი ხორავას ქ. 16.

სოფელ ჩხორიის საკრებულო და კოლმეურნეობის აპარატი იუწყებიან

ავთანდილ სარდიონის ძე გაბუნიას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ჯუმის საშუალო სკოლის პედკოლექტივი და ტექპერსონალი იუწყებიან თანამშრომლის

მარუსია (მარო) ანტონის ასულ ალასანია-ქადარიას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ინდექსი 68507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი, მერაბ კოსტავას ქ. 56. ტელეფონები: რედაქტორის 2-24-80, რედაქტორის მოადგილის 2-33-69, პასუხისმგებელი მდივნის 2-31-96, სოფლის მეურნეობის განყოფილების ...78, მშრომელთა წერილების 2-25-12, რადიორედაქციის 2-47-00.

საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტის ზუგდიდის სტ... მერაბ კოსტავას ქ. №56, 2-23-07, ტირაჟი 8000 შეკ. 1967